


# ମୋହାର

ନେମ୍ବର 3, 2017





პესია პეპელიძე

მხატვარი  
გიორგი ჩაჩანიძე

## ბუქოზულის სტატუსები

ღრუბლის ქულიდან ღრუბლის ქულამდე  
მარტი ეკიდა საქანელაზე,  
ცისარტყყელიდან ცისარტყყელამდე  
დაქანაობდა ანცი ნებაზე.

ფერებს წველიდა გაუმაძლარი,  
ადედოფლებდა არეს ნდომაზე,  
მინდორ-ველები გაალამაზა,  
დააცვარნამა მიწა ძლომაზე.

მალე მერცხლებიც დაბრუნდებიან,  
გარემო ჩუმი აჟივილდება,  
გამოიღვიძებს ნაზამთრალისგან,  
დედაბუნება აყვავილდება.

სამშობლო ჩვენი – დედის სახლია,  
გალობა ისმის გაზაფხულისა,  
ყველანი დედებს ყვავილს მივართმევთ,  
გვირგვინს დავადგამთ სიყვარულისას.

ანდამატივით მივეწებებით,  
მივუსალბუნებთ მადლიერებით,  
ლამაზ ლოყებზე დავეკონებით,  
გულს ვერ გავიძლებთ მათი ფერებით.

ღრუბლის ქულიდან ღრუბლის ქულამდე  
მარტი ეკიდა საქანელაზე,  
ცისარტყყელიდან ცისარტყყელამდე  
დაქანაობდა ანცი ნებაზე.

ვაზა ყუგუსიძე

## წინათქმა

ხელისგულით სატარებო,  
მკურნალებო ყველა წყლულის,  
თუ მომისმენთ, პატარებო,  
მოგიყვებით მართალ ტყუილს:  
ცხოველები სარვამარტოდ  
თავს იყრიან ტყეში მუდამ,  
ყველა რაღაც კეთილს ნატრობს,  
ყველას რაღაც კარგი უნდა.

ბუქოზულის  
სტატუსები

## დედას

სანამ ქვეყნად გავჩნდებოდი  
და სამყაროს ვნახავდი,  
დედა მანამ გავიცანი,  
მანამ დავუახლოვდი.  
ვიდრე ცხრა თვე მის მუცელში  
მყუდრო სახლში ვსახლობდი,  
ის მივლიდა, მიმღეროდა –  
მის ხმას ასში ვარჩევდი.  
როცა გავჩნდი, შემაშინა  
სინათლემ და ფერებმა,  
მაგრამ დედა ჩემთან არის,  
დედა მომეფერება.  
არ ვიცოდი სიარული,  
დედამ ხელით მატარა,  
მერე ფეხი ავიდგი და  
არე შემომატარა.  
მან მასწავლა ლაპარაკი,  
შემაყვარა ზღაპრები  
და გამიღო სამყაროში  
გასასვლელი კარები.  
თუ მტკიოდა, მიამებდა  
კოცნითა და ფერებით.  
მის სინაზეს და სიყვარულს  
ვერასდროს შეველევი.



მხატვარი  
თვა მიძაია

## ხელ დედის იუგილეა

დავალ, დავყვები გზის პირებს,  
ვავედრებ ნიავს თუ ქარს,  
მომაძებნინეთ ყვავილი,  
ჩემს დედიკოს რომ უყვარს.

გთხოვთ, ამიხდინოთ სურვილი –  
გულში სხივად რომ ინათა –  
ხვალ დედის იუბილეა  
და მსურს, საჩუქრად მივართვა.



## პერის ნაცვანა

დათვის ბელი  
ბურდღუნებს  
და ბურდღუნით ნატრობს –  
თაფლით სავსე  
ფულურო  
ნახოს სარვამარტოდ;

რომ ჯერ  
ყელი ჩაიტკებოს,  
შემდეგ ურჩზე ურჩი  
გადაკოცნოს  
დაიკო  
დათაფლული დრუნჩით.



## პეთი კვიტაფიანი

# მუზებურო

გაიხარა მერცხალმა, თბილ ქვეენებში მიფრინავს,  
თოვლიანი ქედები თითქმის გადაიფრინა...  
და როცა მოეეინა მაკრატელა კუდიო,  
ცემინება დაეწეო, გულმაც უგრძნო ცუდიო.  
ბეღურასთან მივიდა, უთხრა: – ჩემო ლამაზო,  
მე მინდოდა გაფრენა, მაგრამ დახე ამასო...  
მოუინული კუდისკენ გაიშვირა ნისკარტი,  
სთხოვა: – რამე მიშველე, თუ ოდესმე გიუვარდი...  
შეეცოდა ბეღურას, ფრთები ნელა დაუშვა  
და მერცხალი სამხრეთით... თავის ქურქით გაუშვა.



## პირვენი

მერცხლები ბეღურასნაირთა რიგის ფრინველები არიან. მათი სხეულის მაქსიმალური სიგრძე 22-23 სანტიმეტრია. მერცხალი გავრცელებულია მთელ დედამიწაზე, გარდა ცივი ადგილებისა, მის სამშობლოდ კი აფრიკაა მიწნეული.

უპასუხეთ შეკითხვებს და ერთად გავარკვიოთ, რა ვიცით მერცხლების შესახებ:

**1** რითი იკვებებიან მერცხლები?

- ა. ნარჩენებით;
- ბ. მწერებით;
- გ. სენდვიჩებით.

**2** რას ეძახიან მერცხლებს გრძელი და ღრმად ამოკვეთილი კუდის გამო?

- ა. კუდაბზიკას;
- ბ. კუდიანს;
- გ. კუდმაკრატელას.

**3** რისგან აშენებს მერცხალი ბუდეს?

- ა. ფოთლებისგან;
- ბ. ქვიშისგან;
- გ. ტალახის ბურთულებისგან.

**4** სად უყვართ მერცხლებს ბუდეების გაკეთება?

- ა. ხის კენწეროზე;
- ბ. სახლის სხვენზე;
- გ. ბალახებში.

**5** რისი მომასწავებელია ჩვენში მერცხლების დაბალ სიმაღლეზე ფრენა?

- ა. წვიმის;
- ბ. გაზაფხულის დადგომის;
- გ. ვარსკვლავიანი ღამის.

# ფ ა ნ ჯ ა რ ა

რა ფანჯარა? არაჩვეულებრივად ფართო და ნათელი. მაინც რამხელა? ახლავე გეტყვით! აბა, წარმოიდგინეთ, აქ ოცდასუთი ბავშვია და მათ ყველას ჰყოფნით ადგილი, წვიმის დროს ცხვირი მიაჭყლიტონ ზედ, უყურონ, როგორ მოსრიალებენ გამჭვირვალე მინაზე ბროლის წვეთები, ყინვის დროს კი დააორთქლონ და მზეები მიახატონ პატარა ფუმფულა თითებით, ხოლო თოვლიან დღეებში იოცნებონ საახალწლო საჩუქრებზე, რომლებსაც თოვლის პაპა აუცილებლად მოუტანთ. ძნელი სულაც არ არის, მიხვდეთ, რომ ეს საბავშვო ბალია, მაგრამ საქმე მხოლოდ ეს როდია. მაშ, რა ხდება? ახლავე მოგახსენებთ.

ყოველივე ამ გიგანტური ფანჯრის პირდაპირ, ასევე არანაკლებ ფართო და მაღალ გალავანზე მოხდა. დიახ! ალბათ, ბევრჯერაც მომხდარა, მაგრამ, ვინც მათი მეგობარი არ არის, ვისაც არ უყვარს ისინი, ამას ვერასოდეს დაინახავდა. ვისზეა ლაპარაკი?! ვისზეა და, ჩვენს უახლოეს მეგობრებზე, ულამაზეს, მწვანეთვალება ფისოებზე, ძვირფას, საყვარელ ეზოს ძალლებზე და, რა თქმა უნდა, ფრინველებზე, რომლებსაც ყოველდღე ვხვდებით ქუჩაში თუ სახლში, მეზობლებთან თუ ახლობლებთან.

ჰოდა, ასე იყო ეს ამბავი. ვამბობ, იყო და არა იყო რა-მეთქი. ამას იმიტომ ვწერ, რომ მე და დანჩიობ ეს ყველაფერი ჩვენი თვალით ვნახეთ. დანჩო ვინ არის? დანჩო დანიელია და სანიკიძეა გვარად. მე კი მისი და სხვების აღმზრდელი ვარ. ამას ვერც კი შევამჩნევდი, ფანჯარასთან ის რომ არ მდგარიყო. იქ კი იმიტომ მივიდა, რომ სანდრომ მოატყუა: ნახე, თოვლი მოდისო. ისიც მივიდა და მეც მივედი, იმიტომ, რომ დავიჯერე. უკვე ოქტომბერი იდგა და თოვლზეც არაერთხელ გვილაპარაკია. სხვები ხატავდნენ და მეგონა, რომ ვერც გაიგეს ეს ამბავი. რა ვიცი, ამბავი დავარქვა თუ შემთხვევა... ბარემ,



გეტყვით და ის იქნება, თორემ, მგონი, მოთმინება გამოგელიათ და ეგ არის...

ამბავი თუ სანახაობა ასე დაიწყო: გავიხედეთ და, რა თქმა უნდა, არა თუ თოვლი არ მოდიოდა, ერთი ფთილა, კიკო ღრუბელიც არსად ჩანდა, მაგრამ რას ვხედავთ! გალავანზე ჩვენი თინაკოს კატა, ყარამანი არ მოსეირნობს?! თინაკოს სახლი ხომ ბალის გვერდზეა!


— თოვლისა რა მოგახსენო და ყარამანი კი მოემართება! — ვთქვი და ფანჯრის რაფას დავეყრდენი. დანჩო კი, ვხედავ, სიხარულისაგან ცმუკავს.

— ეეე... თინაკოს ყარამანა მოსეირნობს! — წამოიძახა გახარებულმა.

— ჩუმად! ვერ ხედავ, მოიპარება!.. რაღაც აქვს ჩაფიქრებული, — დანჩოს ხელით ვაჩერებ.

— მაგან რა უნდა ჩაიფიქროს? — კვდება სიცილით. — ეგ ხომ კატაა!

— დაიცა, ბიჭუნი, ვაცადოთ... — ძლივს ვაკავებ. ყარამანი კი შეჩერდა და თვალი



## მხატვარი გალსაზ კუსაშვილი

გაუშტერა მწვანედ დაბურულ კვიპაროსის ტოტებს, რომლებიც ზედ გალავანზე ეწყო და ნიავი ოდნავ, სულ ოდნავ ურხევდა ულამაზეს წიწვებს.

— რას უყურებს, ნეტავ?! — ვერ მოითმინა ჩვენმა ხუჭუჭა დანიელმა. უცებ, ბახ! გალავანზე კაკალი დაეცა, ზედ ყარამანის ცხვირნინ. კატა შეჩერდა და ახლა — ფრრ — მოისმა და შეუილით ჩამორშვა დედა ყვავი მანო. თქვენ გგონიათ, არ ვიცი, რომ ზუსტად ახლა გაიფიქრეთ, ნეტა, საიდან იცის, რომ დედა ყვავიაო. ჰოდა, მეც პასუხი მზად მაქვს: ამ ყვავს ჩვენ ყველამ, დიდი ხანია, მანო დავარქვით და ზუსტად მანდ ცხოვრობს, მწვანე კვიპაროსის ხეზე. იცით, შარშან ბახალები რომ დააფრთიანა, ფანჯრიდან ვუყურებდით. ახლა კი ეს ჩვენი მანო კაკლის ჭამას აპირებს, აკი უკევე გატეხა. ჰო, ეს უნდა მეთქვა — ყვავ მანოს, თინაკოს ჭიშკართან რომ კაკლის ხე დგას, იქიდან მოაქვს ხოლმე კაკლები. აბა, სხვაგან სად წავა?! გალავნის ერთ თავში, კვიპაროსზე, თვითონ ცხოვრობს, მეორე თავში კი კაკლის ხე დგას.

უი! ვყვები და ეს ჩვენი ყარამანი, ქანდაკებასავით გაქვავებული რომ ზის და

არ ინძრევა, იმაზეც ხომ უნდა გითხრათ რამე... ყვავი მანო ფრთებს აფათქუნებდა, კაკლებიდან ნიგოზს არჩევდა ნისკარტით, თან ერთი-ორჯერ დაიჩხავლა კიდეც — ყვა-ყვაო. კატა ისევ ფოტოსურათივით იყო გაშეშებული. უცებ კვიპაროსის წიწვები შეირხა და სამი კარგად მოფრთიანებული ბახალა გამობანცალდა ერთმანეთის მიყოლებით. მანომ დარჩეული ნიგოზი თავისი დიდი, შავი ნისკარტით მისწი-მოსწია და ბახალებს გემრიელი სამხარი გაუშალა. მერე კატისკენ მიბრუნდა და ნახევარი ტონით დაბლა — ყვააო! — მიაჩხავლა. გვეგონა, შეეშინდებოდა, მაგრამ არაფერიც... ყარამანს თვალიც არ დაუხამხამებია. უბრალოდ შებრუნდა, კუდი მაღლა ასწია და, თითქოს ყვავის ენა გაიგოო, დიდსულოვნად დაუთმო გალავანი დედა-შვილებს. გვერდზე გავიხედე, თურმე ყველა ბავშვი ფანჯრიდან უყურებდა ამ სცენას, რომელიც გალავნის თავზე გათამაშდა... და წამოვიდა შეკითხვები:

— ყარამანს შეეშინდა მანოსი? — იღიმებოდა ლექსო.

— არა, მანოს შეეშინდა და დაიჩხავლა! — პასუხობდა ნინია.

— ისინი ხომ დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს! — ამბობდა ლიზი.

— ჩემმა ყარამანმა დაუთმო, ხომ? — შემომხედა თინაკომ. — ჩემი ყარამანი კეთილია და იმიტომ! — რაც შეიძლებოდა დამაჯერებლად თქვა გოგონამ.

— რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, ის ხომ დღევანდელი დღის გმირია! — დავეთანხმე და იქვე მოვიფიქრე: — დავსხდეთ ახლა, ბავშვებო, და ეს ამბავი, რაც დღეს ვნახეთ, დავხატოთ.

— დავხატოოთ! — იყვირეს ბავშვებმა და ახალ, თეთრ, ქათქათა ფურცლებზე ყველამ სიამოვნებით დაიწყო ყვავი მანოს, მისი სამი ბანცალა ბახალის და დღის გმირის, კატა ყარამანის ხატვა. დღეც ასე მხიარულად ჩამთავრდა.

აი, ასეთი ფანჯარა გვაქვს. სწორედ აქ, ჩვენთან, შეიძლება ყველაზე საინტერესო ამბების გაგება და ნახვა. ახლა, თქვენი ფანჯრიდანაც გაიხედეთ! აბა, გაიხედეთ!

# მრეცხავი კუ

Andante

eml luu-boz en-sna tsis-na ev sa-na ga-nag-ga hml, atlo-bo-zn.

rit.

მუსიკა ნინო ჩხილვაძისა  
ტექსტი მარიამ წიკლაურისა

დღეს, სისხამ დილით,  
საპნით და ლილით  
მიადგა რუს  
მრეცხავი კუ.  
კუ გახლავთ რეცხვის ოსტატი,  
უყვარს ბახი და მოცარტი.  
ნაკითხული აქვს კომბლე  
და ეხმარება ობლებს.  
ავლებს და ავლებს რუში –  
სველი აქვს ნინსაფრის რუში.



# გაზაფხულის ღილა

მზე იპარება ბოსტანში,  
უნდა, სხივები დაფინოს...  
მიწისქვეშ მიძინებული  
გამოაღვიძოს სტაფილო;

ცრემლი შეუშროს კომბოსტოს,  
დილის ცვარისგან ნამული;  
ვარდებს კოკრები გაუხსნას,  
ააყვავილოს მამული.

ჩიტების უივილ-ხივილმა  
გამოაცოცხლა გარემო;  
გეყოთ წილკი, ხმაური,  
ფრთები დაკეცეთ, ქარებო!

დილაა გაზაფხულისა,  
გული თბება და ხალისობს;  
ეზომაც გამოიღვიძა,  
მკერდი სიმწვანით აივსო.


ბუჩქნარში შეყუულები  
ტკბილად გალობენ შაშვები;  
თამაშ-თამაშით სკოლისკენ  
მინავარდობენ ბავშვები.



## გოჭის ნაცვანა

დინგს ხმარობს  
ისე ღონივრად,  
ღრუტუნებს,  
ღორი ჰგონიათ,  
მაგრამ ჯერ კიდევ  
ნორჩია,  
მაშასადამე, გოჭია;

გოჭია და  
სარვამარტოდ  
თბილი ლაფის  
ნახვას ნატრობს,  
რომ გაითბოს  
ტანი გორვით,  
იამოს და  
იგრძნოს შვება  
და გაათბოს დედა ღორიც,  
როცა გვერდით მიუწვება.



# მარტი - აპრილი



მარტმა აპრილს შეუთვალა:  
მასესხეო სამი დღე,  
ამ თებერვლის თოვლს და ჭყაპანს  
მივალიე მთელი თვე.

არ იკითხავთ, პასუხად  
რა მიიღო მარტმა?  
– აბა, ერთი კარგად თქვი –  
იხუმრე თუ მართლა?!?

კარგად იცი, სამი წუთით  
არ ინდობი მარტო,  
მოინდომე, ეს ქვეყანა  
კიდევ სამ დღეს მართო?!

გაიხსენე – სამი დღე  
შარშანაც გაქვს ნასესხები\*,  
ჰოდა, წელსაც სამს რომ ითხოვ,  
ხარ, კი, მისი ჩამსესხები?

არას ვამბობ შარშანნინზე  
და არც წინის წინის წინზე,  
რა, ვერ კმარობ ოცდაათ დღეს,  
თუ იქცევი – ჯიბრზე?

თუკი ასე გააგრძელებ,  
ვერ ამოხვალ ვალებიდან,  
იცი, ბოლოს რას მიიღებ?  
ამოხტები კალენდრიდან!



\* ნასესხები – აპრილის პირველი სამი დღე,  
რომელსაც თითქოსდა მარტი  
სესხულობს აპრილისაგან.



## კნუტის ნაცვანა

კნუტმა იცის –  
ბებიას  
მთლად უკბილო ყბები აქვს,  
უკბილოდ კი წრუნუნებს,  
კალმახებს და ხრამულებს  
ვეღარ შეახრამუნებს...



... და ნატრობს, რომ  
კბილები  
მოსაცვლელი, ცალ-ცალი,  
ერთიანად დააძრონ,  
როგორც ტაროს მარცვალი,  
ოლონდ ბებოს ჩაუსვან  
მისი გამონაცვალი.



# მიუკი, ჩრდილის ამიაღა ლამას იშორი

ცხოვრობდა ერთი თიკანი, რომელმაც ათამდე დათვლა ისწავლა. ერთხელ ტბასთან მივიდა და შიგ თავისი გამოსახულება დაინახა. ერთ ადგილას გაშეშდა და დიდხანს ათვალიერებდა საკუთარ თავს. ახლა კი მომისმინეთ, შემდეგ რა მოხდა.

- ერთი! – თქვა თიკანმა.
- ეს გაიგო ხბომ, რომელიც იქვე მიმოდიოდა და ბალახს წინ კნიდა.
- რას აკეთებ? – შეეკითხა ხბო .
- ჩემი თავი დავთვალე, – უპასუხა თიკანმა. – გინდა, შენც მიგათვალო?
- თუ მტკივნეული არ იქნება, მიმათვალე!
- უთხრა ხბომ.
- მტკივნეული სულაც არ არის. ოლონდ არ გაინძრე, თორემ ვერ მიგათვლი.
- რას ამბობ! ძალიან მეშინია და ალბათ, დედაჩემიც უფლებას არ მომცემს, – ჩაილულულულა ხბომ და უკან დაიხია.
- მაგრამ თიკანი მისკენ გადახტა და თქვა:
- ერთი ვარ მე, ორი – შენ. ერთი, ორი! ბეე!
- დე-და! – საბრალოდ წამოიძახა ხბომ.
- მაშინვე მოირბინა ძროხამ, რომელსაც ყელზე ეჟვანი ეკიდა.
- მუუ! რა გატირებს?
- თიკანმა დამთვალა! – დაიწუნუნა ხბომ.



– ეს რა არის? – გაბრაზებით დაიზმუვლა ძროხამ.

– ათამდე დათვლა ვისწავლე, – უპასუხა თიკანმა. – აი, მომისმინეთ: ერთი ვარ მე, ორი – ხბო, სამი – ძროხა. ერთი, ორი, სამი.

– ახლა შენც მიგათვალა. – აბლავლდა ხბო.

როდესაც ძროხა ამას მიხვდა, ძალიან გაბრაზდა:

– მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა დაცინვა! აბა, ერთი კარგად მივბეგვოთ!

ძროხა და ხბო თიკანს ეცნენ, იმას ძალიან შეეშინდა, გველნაკბენივით წამოხტა და კუნტრუშით გაიქცა მინდორზე. ძროხა და ხბო კი გამოეკიდნენ.

შორიახლოს ერთი ხარი დასეირნობდა, თავისი ბასრი რქებით მიწას თხრიდა და ბუჩქებს მაღლა ისროდა. როდესაც თიკანი, ხბო და ძროხა დაინახა, შეეგება.

– რატომ მისდევთ ამ კუდმოკლეს? – ბოხი ხმით იკითხა ხარმა.





## მხატვარი ნათია არსებიშვილი

— გვთვლის! — შესტირა ხბომ.  
— მაგრამ მაინც დავიჭერთ, — ჩაილაპარაკა აქოშინებულმა ძროხამ.

— ერთი ვარ მე, ორი — ხბო, სამი — ძროხა, ოთხი — ხარი. ერთი, ორი, სამი, ოთხი! — თქვა თიკანმა.

— ამას არ ვაპატიებ, — დაიბლავლა ხარმა და სხვებთან ერთად თიკანს დასაჭერად გამოუდგა.

ისინი ფართო, მტკურიან გზაზე გადავიდნენ და სირბილით განაგრძეს გზა. ამ დროს გზის პირას ცხენი მიდიოდა და ბალახს ღეჭავდა. როდესაც ჩლიქების ბაკუნი გაიგო და მტკურის კორიანტელი დაინახა, შორიდანვე დაიყვირა:

— საით მიიჩქარით?

— თიკანს მივდევთ, — უპასუხა სირბილის-გან გულამომჯდარმა ძროხამ.

— ის გვთვლის, — დაიჩივლა ხბომ.

— მისთვის კი ამის უფლება არავის მიუ-ცია. — დაიღმუვლა ხარმა.

— ამას როგორ აკეთებს? — იკითხა ცხენმა და სხვებს აეტორლიალა.

— ძალიან მარტივად, — უპასუხა თიკანმა. — აი, ასე! ერთი ვარ მე, ორი — ხბო, სამი

— ძროხა, ოთხი — ხარი, ხუთი — ცხენი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი!

— ახლა შენც მიგათვალა. — ჩაიბუზლუნა ხბომ.

— შე საძაგელო! აბა, დამაცადე! — დაიხვიხვინა ცხენმა და თიკანს გამოეკიდა. იქვე, გზის პირას, ბაქში მსუქან ღორს ეძინა და ჩლიქების ხმაურზე გამოედვიძა.

— ღრუტ-ღრუტ-ღრუტ! საით გაგიწევიათ? — იკითხა ცნობისმოყვარე ღორმა, მაშინ ვე ცხვირით ღობე გაარღვია და გაქცეულებს გამოეკიდა.

— თიკანს მივდევთ, — ქშენით უპასუხა ძროხამ.

— ის გვთვლის, — ავიშვიშდა ხბო.

— მისთვის კი ამის უფლება არავის მიუ-ცია, — დაიღმუვლა ხარმა.

— მაგრამ სეირს ვუჩვენებთ, — დაიხვიხვინა ცხენმა და ხბო კინაღამ გადათელა.

— როგორ გთვლით? — იკითხა ღორმა, რო-მელიც ძლივს ეწეოდა დანარჩენებს.

— ძალიან მარტივად, — ნამოიძახა თიკანმა. — ერთი ვარ მე, ორი — ხბო, სამი — ძროხა, ოთხი — ხარი, ხუთი — ცხენი, ექვსი კი ღორი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი!

— ახლა შენც მიგათვალა. — ამოისლუკუნა ხბომ.

— ამისთვის პასუხს მოვთხოვ! — დაიჭყვი-ტინა ღორმა.

თავქუდმოგლეჯილები მიქროდნენ და ბოლოს მდინარემდე მიირბინეს. ნავსაბმელ-თან პატარა იალქნიანი გემი იდგა. გემბანზე მამალი, ძალლი, ცხვარი და კატა დაინახეს. მამალი კაპიტანი იყო, ძალლი — ლოცმანი\*, ცხვარი — უმცროსი მეზღვაური, კატა კი გე-მის მზარეული.

— შეჩერდით! — დაიყვირა მამალმა, რო-დესაც თავანეცვეტილი ცხოველები დაინახა, მაგრამ უკვე გვიანი იყო — თიკანმა გემბანზე ისკუპა და მას სხვებიც მიჰყვნენ.

გემი შეტორტმანდა, წყალში შეცურდა და მდინარის ყველაზე ღრმა ადგილისკენ დაიძრა. მამალს ძალიან შეეშინდა.

— ყიყლიყო! გვიშველეთ! — დაიყვირა გან-წირული ხმით. — გემი იძირება.

\* გემის გაცილების სპეციალისტი პორტის საზღვრებში.

შიშით ყველას გული გაუსკდა, მამალმა კი ხმამაღლა დაიყვირა:

- თქვენ შორის დათვლა ვინ იცის?!
- მე ვიცი, – უპასუხა თიკანმა.
- მაშინ სასწრაფოდ ყველანი გადათვალე. ამ გემს მხოლოდ ათი მგზავრის აყვანა შეუძლია.
- სასწრაფოდ გადაგვთვალე! – ახმაურდა ყველა ერთად და თიკანმაც თვლა დაიწყო:
- ერთი ვარ მე, ორი – ხბო, სამი – ძროხა, ოთხი – ხარი, ხუთი – ცხენი, ექვსი – ღორი, შვიდი – კატა, რვა – ძაღლი, ცხრა – ცხვარი და ათი – მამალი.
- ვაშა, თიკანს! ვაშააა! – დაიყვირა ყველამ ერთხმად.
- შემდეგ მგზავრებმა მდინარე გადაჭრეს და მეორე ნაპირზე გადავიდნენ. თიკანი კი მას შემდეგ იალქნიან გემზე დარჩა და ახლა ბილეთების შემმოწმებლად მუშაობს. ყოველთვის, როდესაც მამალი თავის გემზე ცხოველებს უშვებს, თიკანი ნავსაბმელთან დგას და მგზავრებს ითვლის.



### თარგმნა გიორგი კაპაჩაძემ



ნორვეგიელი მწერალი და კომპოზიტორი **ალფ პრისენი**  
დაიბადა 1914 წლის 23 ივნისს.

მას სიცოცხლეშივე მოიხსენიებდნენ ნორვეგიული ლიტერატურის კლასიკოსად (გარდაიცვალა 1970 წლის 23 ნოემბერს). პროისენის კალამს ეკუთვნის უამრავი ლექსი ბავშვებისთვის და უფროსებისთვის, რომანი, სიმღერები, ნოველები, წიგნები ყველაზე პატარებისთვის. ალფ პროისენის სიმღერას „აუცილებლად დადგება ხვალინდელი დღე“ ნორვეგიელები თავიანთ მეორე ეროვნულ ჰიმნად მიიჩნევენ. ამ სიმღერას ბავშვობაშივე სწავლობს ყველა ნორვეგიელი.

ნორვეგიაში არსებობს მწერლის მუზეუმი, სადაც მისი ლიტერატურული გმირების ქანდაკებები დგას.

პროისენის ზღაპრებიდან მეტად პოპულარულია „თიკანი, რომელმაც ათამდე დათვლა იცოდა“. ამ ამბავს საფუძვლად უდევს ძველ ხალხში გავრცელებული ცრუ რწმენა იმის შესახებ, რომ რამის გადათვლას უბედურება მოაქვს და აუცილებლად დაიკარგება ის, რასაც დათვლი.



## თავკერძა ბატონის ამბავი

ერთ უშვილძირო თავკერძა ბატონს უძილობა დასჩემდა. დღე დღეს მისდევდა, კვირა — კვირას, მისი საშველი კი არ ჩანდა.

ერთ მშვენიერ დღეს ნამოჯამაგირალი ეახლა — მე ვიცი უძილობის წამალიო. დაუძლურებულმა, ლოგინად ჩავარდნილმა ბატონმა ფუტკრების დაკბენილივით დასივებული თვალებიდან ძლივს გამოიხედა. განთქმულმა მკურნალებმა ვერაფერი გააწყვეს და ამ გლეხუჭამ რა უნდა მიშველოსო, გაიფიქრა.

— თუ დამაძინებ, ბატონიც შენ იყავი და ჩემი ქონების პატრონიც, თუ არადა, შენს ქონებასაც დაემშვიდობე, — ამოკნავლა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.

კაცმა ჩაიღიმა და დაიწყო:

— ბატონო, გლეხობა შავ დღეში ვართ ჩავარდნილი.

— ვიცი, ვიცი, სწორედ თქვენზე დარდი არ მაძინებს, — ამოიკვნესა თვალთმაქცმა ბატონმა.

— ცოლი და შვიდი შვილი მყავს. იმდენი სიკეთე ჩემს ოჯახს, რამდენი დღეც მშივრებს დაგვლამებია!

— კი მაგრამ, მამულში არაფერი მოგყავს?!

— ჩემი ერთი მტკაველი მიწა თაგვსაც ვერ გამოკვებავს.

ბატონმა ხმა არ გასცა. დაამთქნარა.

— ჩემს მიწაზე, — განაგრძო კაცმა, — ერთი მუჭა ხორბლის, ერთი მუჭა ლობიოსა და ათი მარცვალი სიმინდის მეტს ვერაფერს ვთესავ.

ბატონმა ორჯერ დაამთქნარა.

— მოჯამაგირედაც გედექით, მაგრამ ჯამაგირი არ მალირსეთ.


ბატონს მთქნარება აუტყდა.

— ვეღარ ვუძლებ ამდენ გაჭირვებას, არ ვიცი, რა გზას დავადგე...

ბატონს უცნაურმა სითბომ დაუარა სხეულში, ნელ-ნელა გონება დაებინდა და მალე გემრიელი ხვრინვა ამოუშვა...

სამი კვირის შემდეგ ნამოჯამაგირალის უბადრუკ ქოხში ჩალის სახურავიდან ჩამოსულმა ცხვირზე დადენილმა წვიმის წვეთებმა გამოალვიძა. აქ რა მინდაო, გაოცდა. მსახურებს უხმო, მაგრამ ვინ გამოეხმაურებოდა! ხმელ ტახტზე წოლისაგან ატკივებული წელი ძლივს ასწია და გარეთ გამოვიდა. ნაბატონარმა გაიღვიძაო, აურიამულდნენ ბავშვები. ახლა კი ყველაფერი გაახსენდა და ცხარე ცრემლითაც ატირდა.

მხატვარი  
მირიან ჭავჭავაძე





ნუცა  
აპაშიშვილი  
5 წლის



თოვს, თოვს, თოვს,  
ფიფქი ცვივა, ცვივა ციდან,  
ნინო სახლში ბუხართან ზის  
ბეღურებს კი გარეთ სცივათ.



დათა ასანიძე  
5 წლის  
სოფ. კაჭრეთი



## პაჭისის ნაცვეა

პაჭიამ თქვა: ხვალიდან  
დავუჯერებ მამიდას,  
თუ ისურვებს –  
რაცა მსურს,  
თუ ინდომებს –  
რაც მინდა;  
ერთმანეთის გულებში,  
ნეტა, ჩაგვახედაო –  
უკეთ გავუგებდი და  
უკეთ გამიგებდაო.



## ბოკვების ნაცვეა

ბოკვერი,  
ანუ პანია ლომი  
(მერნმუნეთ, ლომიც არსებობს ციდა),  
ნატრობს – შეწყვიტონ  
მხეცებმა ომი,  
რომ ყველა დედას  
ეძინოს მშვიდად.



დოლო-კასარია აბაშიძე

## ნიბრია

ცუცუ ქამუკაშვილი

## გაიპახა ზამთახი

დაინახა ია და,  
თვალი მოჰკრა მერცხალს,  
გაიპარა ზამთარი —  
გაზაფხულის შერცხვა.

## გაზაფხული

კორდი აივსო იებით,  
ღიმილი შვენით ენძელებს,  
მოფრინდნენ ჩიტუნიებიც —  
ნაცნობ ველ-მინდვრებს ეძებენ.

— შენ, ჩემო ჩიტო ნიბლია,  
საიდან საით გივლია?  
— რად მეკითხები, ძვირფასო?  
ქვეყანა შემომივლია.  
იმდენი არსად მინახავს,  
რაც თქვენს მამულში ხიბლია.  
არც ზღვა აქვს ვინმეს ასეთი,  
ტბა — ლაუვარდივით ლივლივა,  
ამიტომ აქვე დავრჩები,  
აღარსად აღარ მივდივარ!

მხატვარი  
ედუარდ აგაშვილი



## ღვავის ნაცვენა

ღვავი ნატრობს —  
სარვამარტოდ,  
განა ციცქნა, განა ციდა,  
ზეცას მთვარე მიახატოს,  
ისე დიდი,  
ისე წმინდა,  
რომ ღამითაც  
სახლის მცველად  
არ დასჭირდეს  
ძალლი პატრონს  
და ეძინოს უზრუნველად  
ბებერ ნაგაზს —  
უღალატოს.

## ბოროტექმა



აქ გასრულდა ზღაპარ-ლექსი  
და ძალიან უნდა ავტორს —  
ყველა თქვენგანს უკეთესი  
ნატვრა ჰქონდეს  
სარვამარტოდ.



# თ ა ვ ს ა ც ე ბ ო

ამ ორი სოკოდან ერთი შხამიანია! გაინტერესებს, რომელი? მაშინ ამოხსენი მაგალითები და რომელი სოკოს ქუდზეც პასუხად მეტ კენტ რიცხვს მიიღებ, იმ სოკოს მოერიდე, ხოლო სოკო, რომლის ქუდზეც პასუხებში ლუწი რიცხვი ჭარბობს, თამამად დაკრიფტე.

მას შემდეგ, რაც დავალებას წარმატებით გაართმევ თავს, სოკოს ძირზე მოცემული კროსვორდების ამოხსნით გაივარჯიშე გონება.



1. ციტრუსი;
2. რძის პროდუქტი;
3. ტროპიკული ხილი;
4. საკანცელარიო ნივთი;
5. გაზრდილი კვიცი;
6. კამერის შვილი;
7. ვულკანიდან ამოფრქვეული მასა;
8. ალადინის მაიმუნი.

1. ფუტკრის პროდუქტი;
2. ყვავის შვილი;
3. ეკლიანი ცხოველი;
4. აჩრდილი;
5. მოხტუნავე მწერი;
6. ზედმეტი;
7. თვე, როდესაც დედის დღეს ვზეიმობთ;
8. ცეცხლის ენა.

მოამზადა ნინი როველა





# მაჩი, მუქი და სხვები

ვინ სხვები?

როგორ თუ ვინ? თუმცა გზადაგზა ყველაფერს მოგიყვებით, მაგრამ, რაც მთავარია, მაჩისა და მუქის დედა ჰყავთ, თანაც – ძალიან ლამაზი. ზურგზე, ისევე როგორც მის პატარებს, მასაც ნაირფერი ზოლები გადასდის და ეს ზოლები საოცრად უხდება მის მუქი ფერის ბეწვს. პატარა შავი თვალებიც მუდამ უბრნებინავს. ალბათ, მაჩვუნიების სიყვარულით. სხვა მაჩვებისა არ ვიცი და, ამ მუცელფუშფუშა ქალბატონს მზე და მთვარე თავის მაჩვუნიებზე ამოსდის. ცხოვრობენ ისინი ერთი დიდი წიფლის ძირში. ამ წიფლის წინიბოებდასხმულ ტოტებზე რომ ფოთლები ნიავთან ჩურჩულსა და შარიშურს მოჰყვებიან, მაჩი და მუქი ერთმანეთს ეხუტებიან და ტკბილ ძილს მიეცემიან ხოლმე.

ვიდრე მათ სძინავთ, ქალბატონი მაჩმარუნა თავისი მოკლე-მოკლე ფეხებით საშოვარზე ისეთი თავგამეტებით მიიჩეარის, შეგეშინდება, იფიქრებ, ნეტავ კი არაფერი მოიწიოს.

ახლაც, ჩაეძინათ თუ არა მაჩისა და მუჩის, ქალბატონი მაჩმარუნა ცეცხლმოკიდებულივით გამოვარდა შინიდან და ტყის ქვემოთ, ფერდობზე მდებარე განაპირა სიმინდის ყანისკენ დაეშვა. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და ფეხი მხოლოდ მაშინ შეანელა, კაჭკაჭმა რომ კუნელის ტოტიდან გადმოსძახა: ნათლულო, საით მიიჩეარი, ხომ მშვიდობაა?

– ეჱ, ნათლი, ჩემი მაჩვუნიების პატრონს რა მომასვენებს, სულ გვშია და გვშიაო, გაიძახიან. ახლა, სანამ გაიღვიძებენ, იქნებ, როგორმე ორიოდე ცალი სიმინდის ტარო მაინც დავითრიო სადმე, – თქვა და ზურგზე წამოკიდებული პატარა გოდორი გაისწორა.

– აბა, შენ იციო, – ნათლია კაჭკაჭუნამ, – კეთილად და გამარჯვებით გევლოსო და კუნელის ტოტს მოსწყდა.

– დიდი მადლობა, ნათლი, დიდი მადლობაო, – დაადევნა მაჩმარუნამ.

ჰო, ნათლიო, რადგან ეს სახელი მისთვის კაჭკაჭუნას დაურქმევია.

თუ როგორ შედგა ნათლობა, მაჩმარუნამ მეც მიამბო და მოგიყვებით:

– მყუდროზე ვიწერით მე და ჩემი შვილები. ის იყო, ჰაერზე გამოვედით და თიბათვის მზეს მივეფიცხეთ, რომ ამ ჩვენმა კაჭკაჭუნამ მწიფე ბლის ტოტიდან ჩამომძახა:

– მაჩმარუნაავ, ქალოო, ამ ტყის დედოფალოო, შენი კოხტა კალათა უნდა დამიცაალოო, მწიფე ბალი ჩავკრიფო, შვილებს მივუტანოო....

ბატონი ბრძანდებით-მეთქი, მაგრამ, მე რომ ხეზე ასვლა არ შემიძლია, ჩემი მაჩვუნიებისთვის ცოტას ხომ მიწილადებ-მეთქი.

– აბა, რას ვიზამ, ჩემო საყვარელო მაჩმარუნავ! – ალერსიანად ჩამომძახა და მეც სიამოვნებით მივაწოდე ჩემი კოხტა კალათა, ბინის შესასვლელში რომ მეკიდა წიფლის ქვედა ტოტზე.

– კარგი გიქნიათ, მაგრამ ზუსტად ასეთი, თქვენი შესაფერისი სახელი როგორ მოიფიქრა მაგ ენად გაკარეფილმა? – გაიკვირვა გულწითელა ჩიტმა, ძირს რომ ჩამოფრენილიყო და ნაურმალზე რაღაცას კიკიდა.

– დათვს ბაჯბაჯუნას ეძახიან, მე – კაჭკაჭუნას, შენ კიდევ მაჩმარუნა იქნებიო, – გაიცინა, – რა, ურიგო სახელია და არ მოგიხდება თუ!

– კარგი-მეთქი, ქალბატონო... თუმცა სხვები თებრონიას მეძახიან, მაგრამ რაკი თქვენ ასე გნებავთ, მაჩმარუნა დამიძახეთ-მეთქი. ერთი რამ კი უნდა გითხრათ, – რა ტყის დედოფალი მე მნახეთ, გულზე ორი მამით ობოლი მაჩვუნია მკიდია-მეთქი, – ამოიკვნესა მაჩმარუნამ და ლამის, გულიც ამოაყოლა. – ძნელია ბალების უმამოდ გაზრდა. ახლაც იმიტომ ვჩეარობ, იქნებ, რამე საჭმელი ვიშოვო, რომ ამათ მივუტანო და დავაპუროო.

მაჩიმაჩუნამ ბოდიში მოიხადა, თქვენთან მუსაიფს, აბა, რა მირჩევნია, მაგრამ სალაპარაკოდ რომ არ მცალიაო! გამოგვემშვიდობა და კვლავ სიმინდის ყანებისკენ დაემშვა. ისეთი თავგამეტებით გარბოდა, არ შეუმჩნევია, უკან რომ მალულად თავისი მაჩვუნიები მიჰყვებოდნენ, – მისი საყვარელი მაჩი და მუჩი. გარბოდა და სულ მალე მიადგა კიდეც დათა პაპას ყანის შესასვლელში დაკიდებულ ახალ ჭიშკარს.

– ეს რამსიმაღლე ღობე შემოუვლია ამ თავისი ყანისთვის დათა პაპასა, კაცოო! – მოხუცი მესიმინდის კილოთი წამოიძახა ქალბატონმა მაჩიმაჩუნამ და ყანას ჭიშკრის ღრიფოდან გახედა. – ჰო, ჰო, როგორ აუყრია ტანი სიმინდს! რა ქუჩეუჩელა ყვავილები გამოუღია კენწეროებში! ტაროებიც მაგრად დაზრდია და დამსხვილებია, ულვაშებიც რომ მაგრად დაუმშვენებია! იცოცხლე, ამ რძეჩამდგარ ტაროებს ჩემი მაჩი და მუჩი გემოზე მოულხენენო, – ნეტარებდა. თან იქაურობას ყურადღებით ათვალიერებდა. მისი გული და გონება იმ ფიქრით იყო შეპყრობილი, როგორ ამოეყო თავი ღობის გადაღმა.

– უჳ, შენ გენაცვალე! – წამოიძახა უცბად გახარებულმა, – ნეტავი, ვინ იყო ის მადლიანი, ღობე რომ გამოურღვევია და ამხელა ხვრელი გაუკეთებიაო. – სიხარულით ლამის ტაშიც შემოჰკრა და ბევრი აღარ უფიქრია, თავი დაზიანებულ ღობეში დურთა. თუმცა, ხვრელი, ცოტა არ იყოს, ვიწრო აღმოჩნდა, ფერდები და მუცელი კარგა გვარიანად დაუკანრა და დაუჩხვლიტა, მაგრამ ეს უსიამოვნება აინუნშიც არ ჩაუგდია, რა დროს ჩემს მუცელსა და ფერდებზე ფიქრია, შინ მშიერი მაჩვუნიები მელოდებიანო. იქვე ვი-

ღაცას, ეტყობა, იმის გასასინჯად, ნეტავი, როგორი მარცვლები აქვს ამ სიმინდსო, ფუჩეჩი გადაუფურჩინა და ტაროები ისე მაცდუნებლად, ისე ეშმაკურად უცინოდნენ

და ეკრიჭებოდნენ, თითქოს აგულიანებდნენ, აგერ შენ და აგერ ჩვენ, მოდი, რაღას უყურებო. მაჩიმაჩუნამაც, ის იყო, დააპირა ერთ ყველაზე მაღალ და ღონიერ სიმინდს სცემოდა, ძირზე გადაეღრღნა, წამოექცია და მერე იმ კრეჭია ტაროებს მისდგომოდა, რომ რაღაც უცნაური რამ საგანი დაინახა.

– რა არის ეს? – დაინტერესდა. – ვითომ, კალათა? არა! გოდორი? არა! მაგრამ, რაც იყო, ერთობ მიმზიდველად კი გამოიყურებოდა – შიგ ბროლივით თეთრი სიმინდის მარცვლები და ფუჩეჩემოცლილი ტაროები ეყარა. მაჩიმაჩუნას ნერნყვი მოადგა, მაგრამ მარტოკამ როგორ შევჭამო, შვილები შინ მშივრები მელოდებიანო, და ისევ სიმინდებს შეავლო თვალი, – უჳ! ტაროები ისე მაღლა აქვთ, ვერც შევწვდები. არადა, ამათი ძირების ღრღნას რომ მოვყვე, დათა პაპა თავზე წამომადგებაო. მეტი აღარ უფიქრია და წამში ამოყო თავი იმ უცნაურ კალათსა თუ გოდორში მიმოყრილ სიმინდის მარცვლებსა და ტაროებში. გახარებულმა ზურგიდან თავისი პატარა გოდრის მოხსნა დაიწყო, რომ ზურგს უკან რაღაც უცნაური ტკაცანი გაისმა. შიშით გულგახეთქილი ქალბატონი მაჩიმაჩუნა მაშინვე შემობრუნდა, გასაქცევად მოემზადა, მაგრამ გასასვლელი ისე ჩაკეტილიყო, ვეღარც გაარკვია, კარი სად ება ამ რკინისა თუ ფოლადის წნელებით მოწნულ ჯაბახანას.

– ის არის! – გაუელვა თავში საწყალ მაჩიმაჩუნას, – ხაფანგი! დედაჩემი რომ მეუბნებოდა, უფრთხილდი, თორემ შიგ თუ მოხვდი, ვეღარაფრით დაიხსნი თავსო... დავიღუპეთ მეც და ჩემი შვილებიცო, – და გამნარებული ხაფანგში წრიალს მოჰყვა. ხან ერთ კუთხეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს. გააფთრებული, კბილებდაკრეჭილი ცდილობდა, მავთულები დაეღრღნა, მაგრამ სულ ამაოდ! მერე ძალაგამოლეული და სასოწარკვეთილი კუთხეში მიიყუჯა, თითქოს უნდოდა, საკუთარ სხეულში ჩამაღლულიყო და ჩაკარგულიყო. იჯდა უკანა ფეხებმოკეცილი და თვალდაჭყეტილი, ვიდრე ჭიშკარი არ გაიღო და ყანაში

დათა პაპამ არ შემოაბიჯა. ღილინ-ღილინით მოდიოდა; გაჭალარავებულ წვერ-ულვაშსა და სახეზე ნათელი გადასდიოდა; კეთილი, მადლიანი მოხუცი ჩანდა.

შემოვიდა თუ არა, თვალი მის მიერვე და-გებული ხაფანგისკენ გაექცა. დაინახა სა-ცოდავად მოკუნტული მაჩმაჩუნა, მთელი სხეულით რომ ცახცახებდა.

— ააა, გაები, შე მსუნავო სიმინდიპარიავ? — მოხუცი ხაფანგთან მივიდა და დატყვევებულ მაჩმაჩუნას დახედა. ხელში თოკი ეჭირა, რომელსაც ერთ ბოლოში მარყუჟი ჰქონდა გამონასკვული — ეს მარყუჟი კისერზე უნდა ჩამოეცვა ხაფანგში გამომწყვდეულისთვის. თოკი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადა-იტანა, ხაფანგი ფრთხილად გამოალო და უკ-ვე განთავისუფლებული მარჯვენათი მაჩისა და მუჩის დედიკოს დაჭერა სცადა. სწვდა კიდევაც და მისი უკანა ფეხი ხელში მარჯ-ვედ მოიქცია, მოქაჩა, ღონივრად დაითრია და ის იყო, შეეცადა, მის თავ-კისერსაც მის-წვდომოდა, რომ ფეხებში რაღაცები ეცნენ და შარვლის ტოტების გლეჯა და კბენა და-უწყეს. შემობრუნდა და რას ხედავშ! — ორი პატარა გოჭუნიასოდენა, ზურგზე ზოლებ-გადაყოლებული არსება არ ჩაჰურენია შარ-ვლის ტოტებში?

— ერთი ამათ დამიხედეთ, რა ამბავში არი-ან! რა იყო, რამ შეგანუხათ, დედიკოს გადა-სარჩენად გამომეცხადეთ? — რატომლაც თვალები აუწყლიანდა მოხუცს, მაგრამ იხ-ტიბარი არ გაიტეხა. — აი, თქვე ყურუმსალე-ბო, თქვენა! ხომ არ გინდათ, დედათქვენს თქვენც ზედ მიგაყოლოთ? — ბუზღუნებ-და და ფეხებს რიგრიგობით იქნევდა, იქნებ, ეს ონავრები როგორმე მომწყდნენო, კიდევ კარგი, პატარები არიან, თორემ ხომ მომაჭამ-დნენ ფეხებსო... მაჩვუნიები წამით მართლა მოშორდნენ, მაგრამ სულ მალე ისევ ეცნენ გააფთრებულები, როგორ გაბედე და ჩვენი დედიკო დაატყვევეო. ერთმა ისე უკბინა, და-

თა პაპამ წამოიყვირა კიდეც და დედა მაჩვს ხელი უშვა. მან კიდევ მაშინვე შემოუტია, კი-ნალამ სახეში ეცა. ასეც იზამდა, რომ მოხუცს უკან დახევა არ მოესწრო. ხაფანგი ტკაცანით ჩაიკეტა. ტკაცანზე მაჩვუნიები დაფრთხენენ, მაგრამ მალე ისევ მისცვივდნენ ხაფანგს და პატარა დრუნჩები მავთულებს შორის გაჰყ-ვეს. საწყალი დედა მაჩმაჩუნა მივარდა და პა-ტარებს ცხვირ-პირი აულოკა.


მერე, თითქოს გონის მოეგოო, უკან დაინია და ხაფანგის ფსკერზე ფეხების ბაკუნს მოჰყ-ვა, არ ვიცი, სიმწრისაგან, არ ვიცი, შვილებს ტუქსავდა, ჩქარა დაიკარგეთ აქედან, სანამ ამ დასაწვავ ხაფანგში არ მოჰყოლილხართო.

დათა პაპა იდგა და ამ უცნაურ სანახაო-ბას ცრემლმორეული უყურებდა. მერე ხა-ფანგს ჩაავლო ხელი, რომ თავის მაჩმაჩუნი-ან-სიმინდებიანად ყანიდან გაეტანა. ეს არც ისე ადვილი გახლდათ — მაჩმაჩუნა, მეტი თუ არა, ოცდაათი კილოგრამი მაინც იქნებოდა. ერთობ სასაცილო სანახავი კი იყო: დათა პა-პას ხაფანგი მიჰეონდა, მაჩი და მუჩი კი მისი შარვლის ტოტებს ჩასჭიდებოდნენ. გაეშვე-ბოდა რომელიმეს კბილი და ისევ მივარდე-ბოდა, ისევ გამწარებული ჩააფრინდებოდა. ასე მივიდნენ უკვე შემოსული პანტის ხემდე, სიმინდის ყანის თავში, ფერდობ-ზე რომ იდგა.

— ჯანდაბას თქვენი თავი! რაც გინდათ, ქენით, — ბუზღუნით გა-დახედა დათა პაპამ დაუპატიჟე-ბელ სტუმრებს, მერე ხაფანგი გახსნა, რომლის ერთ კუთხეში ისევ საბრალობლად მიყუჟუ-ლიყო ქალბატონი მაჩმაჩუნა და ადგილიდან არ იძვროდა. მაჩვუ-ნიები მაშინვე დედას მისცვივდ-ნენ. დათა პაპამ პანტა დაარხია, მაგრამ ხაფანგისკენ რომ შემობ-რუნდა, იქ უკვე აღარავინ იყო. ფერდობის თავისკენ გაიხედა და

თვალი შეასწრო, როგორ შეცვივდნენ ტყეში მაჩმაჩუნა და მისი ორი პატარა ნაშიერი. მერე ჭიშკართან მიყუდებული წნელის კონა აიღო და დაზიანებული ღობის შეკეთებას შეუდგა. წნავდა ღობეს და თან, ვინ იცის, ვისგან გაგონილ სიტყვებს ლილინებდა: „მაჩი-მუჩი, მუჩი-მაჩი, დაფაჩუნებს ტყეში მაჩვი, რას დაეძებს? – რას და... ხვითოს! როგორ ფიქრობთ, ნახავს ვითომ?“ თუ ეძებს, ალბათ, ნახავს კიდეც, – დათა პა-პამ ჭალარა ულვაშებში ჩაიცინა და დაწყებული საქმე განაგრძო.


### მხატვარი ლიკა გურგანიშვილი



## ესანით მე

(დააბოლოვეთ სტრიქონები)

თაგვიმა ფისოს თვალი  
მოჰკრა,  
მიაშურა სოროს.  
შეეშინდა, გაერიდა  
ომს უთანას ....  
ჯერ წულაში შეძვრა, ნოდარს  
სკამის ქვეშ რომ დარჩა;  
თუმც საპირე მთელი ჰქონდა,  
გასცვეთოდა ლ ....  
ფისომ თაგვი შეამჩნია,  
გულში ჩაიცინა;  
წულის ყელთან მიირპინა  
ჩაუცუცქდა წ ...  
ულვაშების გრეხით თაგვი  
სოროს პირას ხტოდა;  
ფისო მცდარი, უქმად მჯდარი  
ამ დროს რას ფიქ ....?



## ქანადა

მისი გრგვინვით შეზანზარდა  
ბევრჯერ მთა და ბარი,  
ის ქართველთა გამარჯვების  
შეძახილი არის;  
ბოლო ხმოვანს მოაცილებ –  
არ გჭირდება „ანი“.  
სახელია გოგონასი, –  
ოთხი ასოც ვნახოთ:  
ორი ასო მეორდება –  
შუა უნდა გაჰყო...  
მიუმატე და მიიღებ  
ხეზე მობმულ ნაყოფს.

# ფეხია ბირანა წა მეგობები

(დასაწყისი „დილა“ N1, N2, 2017 წ.)

შეშის ტკაცატკუცმა ისევ დაარღვია ლა-  
მის სიმყუდროვე.

— ცოდვა გამხელილი ჯობს და, აი, მოვიდა  
დრო შენი წუნკობის ამბავი მთელმა ქვეყა-  
ნამ გაიგოს!

— კარგი, დამშვიდდი, გეყო ქოთქოთი,  
შენნაირ კოხტა ქალბატონს სულაც არ ამშ-  
ვენებს გაკაპასება! — თითები ლამის დაიმტ-  
ვრია, ისე მაგრად დაისრისა თათები აღელ-  
ვებულმა მელამ.

— ხმა გაკმინდე, ცბიერებაში გამოწრთო-  
ბილო, შე ეშმაკის ყურმოჭრილო ძმობილო!  
ჩემი საბრალო ჭრელი მამალი ხომ არ გვი-  
ნივარ, დათაფლული სიტყვებით რომ გამაბ-  
რუო! — ქათამმა ისე გამალა ფრთები, გეგო-  
ნება, ცოტაც და, მელას დააცხრებაო.

— აბა, აბა, ჩხუბი არ იყოს! ცეცხლთან  
ვართ და გაწევ-გამოწევაში იმდენი არ  
ვქნათ, ეს ჯადოსნური ტყე გადავწვათ.

— ისევ შენი ხათრით, დილანა, თორემ... კი  
ვუჩენებდი ამ ჟღალი ბენვის გროვას სეირს!  
— ნარბშეკრულმა ქათამმა ოფლით დაცვა-  
რული შუბლი მოიწმინდა, ერთი ლრმად ამო-  
იოხრა და აკრიახდა:

— ერთ მშვენიერ დღეს, აი, ამ გაიძვერა  
მელამ ახალი ოინი მოიფიქრა, ზურგზე გო-  
დორი მოიგდო, თავზე ფეტრის ქუდი დაიხუ-  
რა და ასე გამოწყობილი პირდაპირ ჩვენი სა-  
ქათმისკენ მომავალ გზას გამოუყვა.

მოდის მელა, როგორც სჩვევია, ისე ნარნა-  
რად მოცუნცულებს. არც სოფლის მიხვეულ-  
მოხვეული, ოღროჩოღრო გზა აჩერებს, მოდის  
ამაყად თავაწეული, ულვაშებში ეშმაკურად  
იღიმება და თან ომახიანად ღიღინებს:

**პლანტაციის გზას მიჰყვება  
მეჩაიე მელა.**

ჩაის ფოთლებს სწრაფად გაკრეფს,  
აბა, განა ნელა?!

— ჩემზე სწრაფი, ჩემზე მკვირცხლი,  
რომელი ხართ, ნეტავ?

გოდრებს ფოთლით სულ გაავსებს,  
აბა, განა ვერა!

ამასობაში ჩვენი საქათმეც გამოჩნდა. მე-  
ლა ადგილზე შედგა, საქათმიდან მობერილი  
ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა, ნესტოები დაბე-  
რა, მერე თათები მადიანად მოიფშვნიტა,  
პირს მომდგარი ნერწყვი ჩაყლაპა და კარ-  
თან მოცუნცულდა.



სტუმრად მოსული მტერი რომ დაინახეს, წინილებმა წიოკი, ქათმებმა კი ქოთქოთი ატეხეს. ჭრელმა მამალმაც დაყივლება და-აპირა, ჩვეულებისამებრ გაიბრიქა, ყელი დიდი ამბით მოიღერა, მაგრამ სანამ „ყიყ-ლიყოოს“ იტყოდა, მანამ მელამ დაასწრო და ქორმა-ბიბილო შეუქო. იმასაც მეტი რა უნდოდა, ცხელ ჩაიში ჩაყრილ შაქარზე მა-ლე დადნა. ჰოდა, ჯერ იყო და, წარბმეკრუ-ლი დედლებს მოგვიბრუნდა – გეყოთ უაზ-როდ ქოთქოთი, ხმა აღარ გამაგონოთ! მე-რე წინილებს შეუბლვირა – მორჩით წივწივს, რა გავიშვიშებთ?! მეც მომასმენინეთ და თქვენც გაიგონეთ, რას ბრძანებს მგზავრი პატიოსანიო.

ამ სიტყვების შემდეგ მელა მიხვდა, ყოყ-ლოჩინას ჩემი ქება ეამაო და მამლაყინნას ქება-დიდება კიდევ უფრო მეტი შემართე-ბით განაგრძო: ხან მის დეზებს შეასხა ხოტ-ბა – უუხ, რა თავზარს დასცემს ბევრსო! ხან სიჭრელე მოუწონა – ოოხ, თვალს როგორ აუბამს მტერსო!.. მოკლედ, იმდენი აქმ და ადიდა, ტკბილად მოუბარი მელა იმ ბრიყვმა მამალმა თავის მეგობრად დაიგულა და მის თხოვნას – შენს გახარებას, ძმა და მეგობარი მელაკუდას პლანტაციაში გამომყევიო – სი-ხარულით დასთანხმდა და უკან დაედევნა.

უუხ, რა წიოკი ატეხეს ქულა წინილებმა და რა ქოთქოთი მიაწიეს კრუხებმა, – უზო-მო ქებამ განყინა, თავი სულ დაგაკარგვინა და სანამ მელიას ლუკმად ქცეულხარ, გონს მოდი, უკან დაბრუნდი, მამალოო! – მაგრამ, ნეტაი, იმათ ვინ უსმენდა, როცა ცბიერი

მელა მამლაყინნას ახლა ჭკუა-  
გონებას, საზრიანობას  
და გამჭრიახობას

უქებდა. მაყვლის ბუჩქებამდე ითმინა მელამ კუჭის ყურყური, მერე, სანახევროდ თვალს რომ მიეფარა, ბრიყვ მამალს პირი წაატანა და იმწამსვე სოროსკენ გააქანა.

– იქ რაც მოხდებოდა, იმის მოყოლა რაღა საჭიროა – უთქმელადაც მიხვდებით ამას! – ეს თქვა და ქათამი ისე ასლუკუნდა, მისი მოსმენა ყველა სულიერს გულს მოუკლავ-და, უსულოს კიდევ გულს ჩაუდგამდა და აატირებდა.

– ეს რა არამი ლუკმა გიჭამია, მელავ! – დილანამ საყვედურით გახედა გვერდით მჯდომ მელაკუდას. ერთხანს უყურა, მერე წამოდგა, ფრთები ააფარფატა, ჯადოსნური ჯოხი ბადრი მთვარისკენ მიმართა და...

– ყიყლიყოო... – კარგად ნაცნობი და ასე ძლიერ მონატრებული ჭრელი მამლის ხმა გაისმა.

– მომეყურა, ალბათ, – შეკრთა ქათამი.

– არა, არ მოგყურებია, – გაულიმა ფერია დილანამ, ფრთები დახარა და ხელებში მოქ-ცეული მამალი გამოუშვა.

– ამდენი ხვევნა, ამდენი კოცნა... ოოჳ, რა გულისამაჩუყებული სცენაა, – ყურებამდე გაღიმებულმა ტყის ბინადრებმა ერთიმეო-რეს გადახედეს.

– ჩვენში დარჩეს და... მამალმაც დააშა-ვა, ქებაშეფერებულმა ფრთები აფრებივით გაშალა... რატომ ხდება ბევრი ასე კადნიერი და ამპარტავანი? წარმოიდგინეთ, სუსტების დაჩაგვრის სურვილიც კი უჩნდება!

– მართლა? არ მჯერა! – ცხვირი უკმაყო-ფილოდ შეჭმუხნა ბაჭიამ.

– ჰოდა, სულ ტყუილად, ყურცქვიტავ, ციყვი მართალს ამბობს! შემდეგი შეხვედ-რისას შოკოლადის რაინდების ამბავს მო-გიყვებით და ნახავთ, რა მოჰყვა იმათ უაზ-რო ყოყლოჩინობას! – ფერია დილანამ თავი-სი კეთილი ღიმილი აჩუქა ტყის ბინადრებს, მერე ხშირი წამნამები დახარა და ისე გემ-რიელად დაამთქნარა, – უკვე ძილის დრო მოსულაო, – მის სათქმელს უკ-ლებლივ ყველა მიხვდა.






# 37th Gallery



დემოტივურის  
ახალი სკოლა,  
III კლასი



ეს ილუსტრაცია ცნობილ მხატვარ თამარ ჩირინაშვილს ეკუთვნის და ნახევარი საუკუნის წინათ დაიბეჭდა „დილაში“. ვფიქრობთ, დღევანდელმა უურნალის პატარა მკითხველმაც აუცილებლად უნდა ნახოს და შეიგრძნოს ამ მინიატურული ნახატის ფასი და მნიშვნელობა!



შურნალ „დილას“ 2013 წელს მიენიშა არამატერიალური  
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი

მთავარი რედაქტორი: დოდო ნიკოლოვაძე  
ნახატი ყდაზე: იულია ნიკოლოვაძე  
მის.: ზანდუჟელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77  
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com,  
facebook: საპავშვილი გამომცვემლობა დილა  
ფასი: 2.50 ლარი



უურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ქეგლთა დაცვის სამინისტროსა  
და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.



საქართველოს კულტურისა  
და ქეგლთა დაცვის  
სპეციალურობის